

ანა მანაგაძე

თსუ ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტი

“რუსეთისმცოდნეობის” სადოქტორო

პროგრამის დოქტორანტი

### რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში მე-19 საუკუნეში.

(გრაფ დე სუზანეს -„კავკასიური პროვინციები რუსეთის ბატონობის ქვეშ. საქართველო,დაღესტანი, კასპიის ზღვისპირეთი და ყუბანის ნაპირები.“ ნაშრომის მიხედვით)

რუსეთისა და კავკასიის ურთიერთობების სადღეისოდ შექმნილი მდგომარეობის ანარეკლს ნათლად ვხედავთ XIX საუკუნის ევროპულ წყაროებსა და საისტორიო ლიტერატურაში. ამ ურთიერთობების შესახებ ევროპელთა მიერ გამოქვეყნებული მასალების მიმართ ინტერესი დღესაც საკმაოდ დიდია.

რუსეთისა და კავკასიის ურთიერთობების ისტორიის ნებისმიერი პერიოდის სრულყოფილი შესწავლა წარმოუდგენელია უცხოური და მითუმეტეს ევროპული წყაროების გათვალისწინების გარეშე. ევროპის არქივებსა და ბიბლიოთეკებში შემონახულია დიდძალი დოკუმენტური მასალა, მრავალი ნაშრომი, რომელიც ეხება კავკასიის ქვეყნების ურთიერთობებს არა მხოლოდ რუსეთთან, არამედ უცხოეთის სხვა ქვეყნებთანაც. ამ მასალებს გარკვეული ისტორიული მოვლენების მეტ-ნაკლები სიზუსტე ახასიათებთ, მაგრამ მათი უმეტესობა მაინც პირველწყაროს მნიშვნელობას ინარჩუნებს და მათი გათვალისწინება რუსეთისა და კავკასიის ურთიერთობების მკვლევარებს საკმაოდ დიდ დახმარებას უწევს მრავალი საკითხის გარკვევაში.

ევროპელები, ისევე როგორც დღეს, გასულ საუკუნეებშიც იყვნენ დაინტერესებულნი კავკასიის რეგიონით და აქ მიმდინარე პროცესებით. საუკუნეების განმავლობაში სულ უფრო იზრდებოდა ევროპელთა ინტერესი ამ ქვეყნების მიმართ, რადგან იზრდებოდა რეგიონის როგორც სავაჭრო, ასევე პოლიტიკური მნიშვნელობა.

გრაფი სუზანეს ბიოგრაფია უცნობია. მისი ხელნაწერი სათაურით კავკასიური პროვინციები რუსეთის ბატონობის ქვეშ“ გამოქვეყნებული იყო საფრანგეთში ჟურნალ „Revue des deux Mondes “ N 505 გამოშვებაში 1841 წელს 26 ივნის N505 გამოშვებაში. ამ ჩანაწერების რუსულ ენოვანი თარგმანი იყო აღმოჩენილი გენერალ–ლეიტენანტის ფრანც კლუკი ფონ კლუგენაუ პირად ფონდში.<sup>1</sup> ჯერ კიდევ 1835 წელს გრაფი დე სუზანე პირველად ეწვია კავკასიას. 1840 წელს კი მეორე, უფრო ხანგრძლივი მოგზაურობა განუხორციელებია. კონსტანტინოპოლიდან ტიფლისში, შემდგომ დაღესტანში, ბაქოში, განჯაში და ისევ უკან ტიფლისში დაბრუნებულა. მოგვიანებით ტიფლისიდან საქართველო –სამხედრო გზით სტავროპოლში ჩამოვიდა. შემდეგ მისი მარშრუტი გაგრძელდა ყუბანში, ტამანიდან კერჩში და ბოლოს ოდესაში ჩადის და იქიდან ბრუნდება საფრანგეთში. როგორც გრაფის ჩანაწერებიდან ჩანს მოგზაურობის დროს იგი ახლოს იყო მიღებული კავკასიელი პოლიტიკური და სამხედრო ელიტის მხრიდან, რამაც მას მისცა საშუალება დეტალურად გაეცნობოდა მდგომარეობას 1840 წლის კავკასიაში.

გარფ დე სუზანეს მიმოხილვა იწვევს დიდ ინტერესს. ავტორი ისტორიული მიმოხილვას უკეთებს საომარ მოქმედებებს კავკასიაში დაწყებული 1828 წლიდან 1840 წლის ჩათვლით, და რაც მთავარია სიტყვა – სიტყვით გადმოსცემს საუბრების შინაარსს, რომლებიც მან აწარმოა კავკასიაში მყოფ დიდ ჩინოსან სამხედროებთან. ის შეხვდა კავკასიაში მრავალ საინტერესო და მაღაჩინოსან პირებს. დაწყებული კავკასიური კორპუსის მეთაურ ინფანტერიის გენერალ ე. ა. გოლოვინთან და კავკასიური ხაზის მეთაურის გენერალ –ადიუტანტი პ.ხ. გრაბბესთან, დამთავრებული შემთვევით შეხვედრილ ოფიცრებით. სუზანე თავის ნაშრომში მკაცრად აკრიტიკებს რუს მაღალჩინოსნებს და რიგით ოფიცრებს. მოგზაურობის დასაწყისში ყარსში ბაქარ ფაშას თბილად მიუღია. ბევრი უმსჯელიათ ევროპულ პოლიტიკაზე და რუსეთის ჯარზე. საუბრისას ბაქარ ფაშა ასე აფასებს კავკასიაში მსახურ რუს ოფიცრებს და ჯარისკაცებს: „რუსი ოფიცრები უცოდინარი და უნიჭო ხალხია , ჯარისკაცები კი ბრბოა , რომლებსაც მხოლოდ მორჩილება შეუძლიად“.<sup>2</sup> თუმცა აქვე აღნიშნავს რომ , რუსების ჯარი უკეთესია ვიდრე ფარნგებისო . ამაზე გრაფი დაეთანხმა, როცა იქვე გაიხსენეს ნაპოლეონის

<sup>1</sup> [www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/XIX/1820-1840/](http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/XIX/1820-1840/).

<sup>2</sup> Les provinces du Caucase sous la domination russe. *Comte de Suzannet. Revue des Deux Mondes* 4ème série, tome 26, 1841 p.52.

დამარცხება. გუმიდან, კარანტინის გავლის შემდეგ, დე სუზანე ტიფლისისკენ გაემგზავრა.გზაში ასეთ ჩანაწერს აკეთებს: “ყველა სოფელის მაცხოვრებელში შევნიშნე უნდობლობა და არაკეთილმოსურნეობა რუსების მიმართ. რუსი ჯარისკაცები სასტიკად ექცევიან ადგილობრივ მოსახლეობას , ოფიცრები არც კი ცდილობენ შეაკავონ ისინი მსგავსი ქმედებისაგან , პირიქით წაახალისებენ.”<sup>3</sup> ტიფლისში ჩამოსვლისას გრაფი წარდგენილი იყო გოლოვინთან. გოლოვინი, როგორც წერს გრაფი, მთელი კავკასიური პროვინციების მართველი, დიდი სურვილის მიუხედავად ,შემატოს კეთილდღეობა ამ მხარეს და გამოასწოროს უკეთესობისაკენ მოსახლეობის ყოფა, ამას ვერ ახერხებს , და მისი კეთილი სურვილები მხოლოდ ქალაქდზე დაწერილი რჩება . შემდეგ დე სუზანე აღნიშნავს,რომ გენერალი არ იზიარებს კავკასიის მთიელების დაპყრობის სისტემას , კერძოთ ის წერს ერთ რაპორტში პეტერბურგს, რომ უნდა მიეცეთ საშუალება ჩერქესებს თავისუფლად ივაჭრონ. ვაჭრობა , გოლოვინის აზრით ,მისცემს საშუალებას რუსებს დაამოშმინოს ჩერქესები და დააჩქაროს ომის დასრულება . გოლოვინი აგრეთვე უკმაყოფილოა მწირე სახსრებით, რომელიც არ აძლევს საშუალებას დაამუშაოს მტკვართან განლაგებული მიწები, მოიყვანოს მოსავალი და ამით ნახოს ქვეყანამ დიდი სარგებელი. ამ საუბრისას გოლოვინთან ,დე სუზანე დასკვნას აკეთებს , რომ გენერალი , როგორც მისი წინამორბედი როზენი , არ გამოირჩევიან ცოდნით, მაღალი შეხედულებებით და გონებამახვილობით, რომელიც ეკადრება ამ მეტად რთულ რეგიონის მართველებს<sup>4</sup>.რამდენად მართალი იყო გრაფი დე სუზანე ამ შეფასებაში? თუ წავიკითხავთ კავკასიური ომის ერთ–ერთი აქტიური მონაწილეს გენერალ –ადიუტანტის დონდუკოვი – კორსაკოვის მოგონებებს დაგვებადება აზრი, რომ დე სუზანეს ამ გვაროვანი შეფასებები გადაჭარბებულია. დონდუკოვ– კორსაკოვი წერს:“ კავკასიის დაპყრობის და დამორჩილების სამხედრო მოქმედებების სისტემის პროექტები იყო შემუშავებული სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში გენერალური შტაბის ისეთ ოფიცრების მიერ , რომლებიც „ გარბენით“ იყვნენ კავკასიაში, აქიდან გამომდინარე ეს გეგმები რეალობას მოკლებული იყო ...იმ დროინდელი კორპუსის მეთაურები – გოლოვინი , შემდეგ ღირსეული ნეიგარტი სამხედრო მინისტრის ა.ი.

---

<sup>3</sup> Les provinces du Caucase sous la domination russe. *Comte de Suzannet. Revue des Deux Mondes* 4ème série, tome 26, 1841p.56.

<sup>4</sup> Les provinces du Caucase sous la domination russe. *Comte de Suzannet. Revue des Deux Mondes* 4ème série, tome 26, 1841p86.

ჩერნიშევის ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდნენ და იძულებული იყვნენ ბრმად შეესრულებინად პერბურგიდან გაცემული ბრძანებები... პეტერბურგში ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ რა ხდებოდა კავკასიაში და ეს სისხლის ფასად უჯდებოდათ კავკასიაში მებრძოლ ჯარისკაცებს.<sup>5</sup> მიუხედავად იმისა, რომ გოლოვინს კავკასიის კორპუსის მეთაურობის თანამდებობიდან განთავისუფლებისას მიანიჭეს აღმასებით მოჭედილი ოქროს დაშნა წარწერით „მამაცობისთვის“ და უმაღლეს რესკრიპტში ჩაიწერა სანაქებო სიტყვები მისი კავკასიაში მოღვაწეობის შესახებ, ნათელი იყო, რომ მთავარმართველმა თავისი მისია კავკასიაში ვერ შეასრულა. ამაზე მეტყველებს შემდეგი ციფრები: კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგზე დაიღუპა 3 გენერალი, 40 შტაბ-ოფიცერი, 393 ობერ-ოფიცერი და 7 960 დაბალჩინოსანი. შემცირდა რუსეთის მხრიდან კონტროლირებადი ტერიტორიები. 1843 წლის სამწუხარო შედეგების ერთ-ერთი ავტორი "პეტერბურგის მორჩილი" გენერალი გოლოვინიც იყო.<sup>6</sup>

არასახარბიელო დახასიათებას უკეთებს დე სუზანე ტიფლისის საზოგადოებას. იგი წერს: "საზოგადოება შედგება გენერალების და ჩინოვნიკებისგან, ქართული გვარები ცოტაა. ისინი(რუსები იგულისხმება) არ უშვებენ უცხოელებს თავის წრეში.... ქართველი თავადი ქალები უფრო ფრანგულად ლაპარაკობენ ვიდრე რუსულად, ისინი ნაკლებად განათლებულნი არიან და მათი საუბარი საინტერესო არ არის. იგივე შეიძლება ითქვას რუსი ქალბატონების მიმართ, მათ დიდი პრეტენზია გააჩნიათ განათლებაზე და მანერებზე, მაგარამ არც ერთი აბადიად და არც მეორე." რაც შეეხება პეტერბურგიდან გამოგზავნილ იმპერატორის ადიუტანტებს, დე სუზანე აღნიშნავს, რომ ისინი საომარ ვითარებაში ჯარით ვერ ხემძღვანელობენ და საერთოდ არ იცნობენ ამ ქვეყანას.

სუზანე აგრეთვე აღშფოთებულია უბრალო ჯარისკაცების ყოფის პირობებით. ის წერს: „ყაზარმები არ ნიავედება, უსუფთაობა და ცუდი კვება, ალკოჰოლური სასმელების მოხმარება, უქმნით საფრთხეს მათ ჯანმრთელობას. ვინც ამ პირობებს გადაურჩება, ის ვერ

---

<sup>5</sup> Мои воспоминанияю 1845-1846гг. Князя Дондукова- Корсакова. Старина и новизна. Книга N 6 1908 г. Часть II, глава 1.

<sup>6</sup> Гордин Я.А. Цена сомнений . Кавказ : Земля и кровь.- СПб.: Журнал << Звезда>>, 2000.-с.305.

გადაურჩება მთიელების მახვილს. შეიძლება ითქვას, რომ კავკასიაში რუს ჯარისკაცზე უბედური მდგომარეობა სხვაგან არ არის.“<sup>7</sup>

მნიშვნელოვანია დე სუზანეს საუბარი გენერალ ანრეპთან და გენერალ კარგანოვთან ბარონი განის სამოქალაქო რეფორმის შესახებ. 1840 წელს ნიკოლოზ I ბრძანებით, კავკასიაში დაიწყო სამოქალაქო მართველობის რეფორმის განხორციელება. იმპერატორი წერდა მთავარმართველ გოლოვინს: „...ამიერკავკასიის კეთილმოწყობითვის, რომელიც ყოველი მიმართულებით მნიშვნელოვანია რუსეთისთვის, საჭიროა მტკიცე სამოქალაქო მართველობა, დაფუძნებული კავკასიის ხალხის სამოქალაქო ყოფას..., რათა ამიერკავკასიის მოსახლეობამ ისარგებლოს იმ კეთილი შედეგებით, რომლებიც მათ უფლის ნებით დაუდგათ რუსეთის სამეფოს შემადგენლობაში ყოფნით.“<sup>8</sup> კავკასიაში ბარონი განის მიერ გატარებულმა რეფორმა არ ითვალისწინებდა ადგილობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ და ეკონომიკურ მახასიათებლებს. რუსეთის მთავრობას დიდი ფული დაუჯდა ამ რეფორმის გატარება, მაგრამ სამაგიეროდ მიიღო ახალი და გაუგებარი პრობლემები. ზუსტად ამ თემაზე მოუწიათ საუბარი უკმაყოფილო გენერლებს ფრანგ ჯაშუშთან.

ჩანაწერი „კავკასიური პროვინციები რუსეთის ბატონობის ქვეშ. საქართველო, დაღესტანი, კასპიის ზღვის სანაპირო და შავიზღვისპირეთი“ საფრანგეთის მეტად პოპულარულ და გავლენიან ჟურნალში იყო გამოქვეყნებული. რასაკვირველია გრაფ დე სუზანეს ამ ნეგატივით სავსე ჩანაწერს გაეცნობოდა იმ დროინდელი ევროპის ფართო მკითხველი.

---

<sup>7</sup> Les provinces du Caucase sous la domination russe. *Comte de Suzannet. Revue des Deux Mondes* 4ème série, tome 26, 1841 p.88.

<sup>8</sup> Высочайшее повеление генералу Головину от 21 марта 1840 г. // АКАК. Т. IX. 24.

ამ ჟურნალის თანამშრომლები იყვნენ - ჰიუგო , ბალზაკი , დიუმა, ჰეინე, ზოდლერი და ა.შ.<sup>9</sup> ჟურნალი „Revue des deux Mondes “ დღემდე გამოიცემა და პოპულარობით სარგებლობს საფრანგეთში.

### გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Les provinces du Caucase sous la domination russe. *Comte de Suzannet. Revue des Deux Mondes* 4ème série, tome 26, 1841
2. Мои воспоминанияю 1845-1846гг. Князя Дондукова- Корсакова. Старина и новизна. Книга N 6 1908 г. Часть II , глава 1.
3. Гордин Я.А. Цена сомнений . Кавказ : Земля и кровь.- СПб.: Журнал << Звезда>>, 2000.- с.305
4. Высочайшее повеление генералу Головину от 21 марта 1840 г. // АКАК. Т. IX. 24
5. [www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/XIX/1820-1840/](http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/XIX/1820-1840/).

### **Caucasian Policy of Russia in 19<sup>th</sup> Century.**

(According to the work of count De Suzannet “ Caucasian provinces under Russian dominion. Georgia, Daghestan , Caspian Littoral and Kuban Coasts“)

---

<sup>9</sup> en .wikipedia .org/wiki/ Revue des deux Mondes/

One of the reasons of procrastination of the 19<sup>th</sup> century Caucasian war became the contradiction of the interest of Russia, Turkey, England in this region. Caucasian problem became especially important in the 19<sup>th</sup> century. The Caucasus becomes the object of not only the Russian-Iranian-Turkish controversy but English-French-Russian as well. Russia, Turkey and England fought for gaining the political priorities in the Northern-Western part of the Caucasus.

Increasing interest of Russia and Western European societies' towards the Caucasus caused the flow of travellers, supervisors and secret agents to this region. One of them was a French peeper count De Suzannet. His biography isn't known. Travelling recordings of count rises great interests. He visited the Caucasus first in 1835 and for second time -in 1840.

The author gives the historical review to the hostile acts in the Caucasus from 1828 to 1840 and the main thing is that he word for word gives us the content of the conversation with the high rank military servants that he had in Caucasus. De Suzannet met lots of interesting people from the head of the Caucasian corp infantry general A.E.Golovin and Caucasian line head general-adjutant P.Ch. Grabbe—to occational officers.

De Suzannet severelly criticizes Russian high rank military servants and ordinal officers too. He acquired important political and military information from personally ruler and military people. Forasmuch he was accepted as an esteemed guest.

Count De Suzannet published his manuscript with the title -"Caucasian provinces under Russian dominion .Georgia, Daghestan, Caspian Littoral and Kuban Coasts" in the magazine "Revue des deux Mondes" in France. This magazine is still being published and is very popular in the country.